პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1979 წელი სამშაბათი 4 დეკემბერი № 277 (17622) ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმემ გამოაჩინა

ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ქართველმა მეჩაიეებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს. ამ წარმატებაში შრომითი წვლილი სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ჭ. სებისკვერაძესაც მიუძღვის.

ხუთწლედის მიმდინარე წელი მეტად მნიშვნელოვანი იყო ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა მერგოლურისათვის. შრომაში მიღწეული წარმატებების გამო. ჭ. სებისკვერაძე 1979 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა. მან მხოლოდ მიმდინარე წელს მანქანა „საქართველოთი" თითქმის ასი ტონა მწვანე ფოთოლი მოკრიფა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია მთელ ავტონომიურ რესპუბლიკაში.

სურათებზე: ქუჩუ სებისკვერაძე და მექანიზატორი ელგუჯა კურტანიძე ამზადებენ ტექნიკას 1980 წლისათვის, მექანიზატორები ქუჩუ სებისკვერაძე, ელგუჯა კურტანიძე (მარცხნივ) და ჭელალ ჯობავა პლანტაციაში.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ახალი მიღწევებისაკენ

საბჭოთა ქვეყანა ამთავრებს ხუთწლედის მეოთხე წელს და ემზადება მეხუთე, დამამთავრებელი წლისათვის, რომელიც მორიგი, მეთერთმეტე ხუთწლედის საფუძველი და სკკპ XXVI ყრილობისათვის აქტიური მზადების წელი იქნება.

ხუთწლედის დამდეგიდან განვლილი დრო ხალხის მტკიცე, ალმშენებლობითი შრომით აღინიშნა. კომუნისტთა პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანები ბეჯითად მუშაობდნენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, დაძაბული, სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ. ისინი დარწმუნებული არიან თავიანთ ძალებში, რამად სწამთ, რომ პარტია საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ადასებს სწორ ლენინურ კურსს, საამშობლოს ეკონომიკური და სულიერი სიმდიდრის შემდგომი ზრდის, მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების კურსს, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების კურსს, ჭეშმარიტად მშვიდობის, ხალხთა თანამშრომლობის კურსს.

ეს დამაჯერებლად ცხადყო ამ დღეებში გამართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ, სადაც განიხილეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, მიღებულ შესაბამისი დადგენილებანი და კანონები.

პლენუმზე ვრცელი და მკაფიო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემულია ჩვენი ეკონომიკის ხუთწლედის ოთხი წლის შედეგებისა და დამამთავრებელი წლის გეგმების ღრმა, ყოველმხრივი ანალიზი. დასახულია როგორც ახლოესები, ისე პერსპექტიული ამოცანები, გამოვლენილია ნაკლოვანებანი, ვიწრო ადგილები, ნაჩვენებია მათი აღმოფხვრის გზები, პარტიისა და ხალხის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტის საშუალებანი.

ხუთწლედის დამდეგიდან საბჭოთა ქვეყანამ, რომელიც ასრულებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მნიშვნელოვნად დააწია წინ სახალხო მეურნეობის განვითარებაში, მშრომელთა ეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში.

როგორც ვიცით, ეკონომიკის აღმავლობის განმაზოგადებელი მაჩვენებელია ეროვნული შემოსავლის მატება. ოთხ წელიწადში იგი გაიზრდება 16,2 პროცენტით, ანუ მეცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით 323 მილიარდი მანეთით. ძირითადი საწარმოო ფონდები, რომლებიც სახალხო. მეურნეობის საძირკველს შეადგენს, მიმდინარე წლის დამლევისათვის ტრილიონ მანეთს გადააჭარბებს. ამასთან ისინი თითქმის მესამედით განახლდება. ამ მეცნიერებლობის მასშტაბი უზარმაზარია — კაპიტალური დაბანდება 500 მილიარდ მანეთს აღემატება. აგებულია ათასამდე დიდი საწარმო, მათ შორის ინდუსტრიის ისეთი გიგანტები, როგორიც არის საიან-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგური, კამის საავტომობილო ქარხანა, „კამ

საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკების კავშირის

კანონი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შესახებ

(დასასრული)

მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრები არიან თანამდებობის მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს რაოდენობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ეალეტიური მოსამართლეებს ვასულთა ნაცვლად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, ხოლო მის სესიებს შუა პერიოდში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც შემდეგ ამასთან დაკავშირებით გამოცემულ ბრძანებულებას წარადგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად მორიგ სესიაზე.

მუხლი 7. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების დამტკიცების წესი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს:

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებად — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს;

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრთაგან — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეებს.

მუხლი 8. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების დამოუკიდებლობა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლენი და სახალხო მსაჯულები დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

მუხლი 9. სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა და კოლეგიურობა საქმეების განხილვაში

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო განიხილავს საქმეს, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომის თავმჯდომარის — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის მონაწილეობით.

სახალხო მსაჯულნი მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლის ყველა უფლებით სარგებლობენ.

საკასაციო, კერძო საჩივრებისა და პროტესტების გამო, აგრეთვე ზედამხედველობის წესით პროტესტებისა და ახლად აღმოჩენილი გარემოებათა შესახებ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის დასკვნების გამო საქმეებს განიხილავენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიებში სამი მოსამართლის შემადგენლობით.

მუხლი 10. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ანგარიშვალდებულება

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო უფლებამოსილების პერიოდში სულ ცოტა ერთჯერ თავისი საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს და სისტემატურად მოახსენებს ამ საქმიანობის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მუხლი 11. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების ხელშეუხებლობა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლენი, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულნი არ შეიძლება მიეცენენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაპატიმრებულ იქნენ ან დაედოთ ადმინისტრაციული სახდელი სასამართლო წესით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასტურის გარეშე, ხოლო მის სესიებს შუა პერიოდში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დასტურის გარეშე.

მუხლი 12. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევა ან ვადამდე განთავისუფლება

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, წევრები და სახალხო მსაჯულები შეიძლება გაიწვიოს ან ვადამდე გაათავისუფლოს მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, ხოლო მის სესიებს შუა პერიოდში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელიც შემდეგ ამასთან დაკავშირებით გამოცემულ ბრძანებულებას დასამტკიცებლად წარადგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე.

მუხლი 13. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით:

1) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი;

2) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია;

3) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;

4) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია.

მუხლი 14. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო სცემს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენს.

თავი 2

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

მუხლი 15. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის შემადგენლობა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით: სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრები, მათ შორის მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოთა თავმჯდომარეები.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის ნაცვლად პლენუმის სხდომაში მონაწილეობს მისი პირველი მოადგილე, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობებს ასრულებს.

პლენუმის სხდომებში მონაწილეობენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი. სსრ კავშირის მონაწილეობა პლენუმის მუშაობაში სავალდებულოა.

პლენუმის სხდომებში, რომლებიც არ არის დაკავშირებული სასამართლო საქმეების განხილვასთან, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მიწვევით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებსა და მოსამართლეებს, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

მუხლი 16. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მოწვევის წესი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს იწვევენ სულ ცოტა ოთხ თვეში ერთხელ. პლენუმის მოწვევის დროსა და მის განსახილველად შესატან საკითხებს პლენუმის წევრებს, სსრ კავშირის გენერალურ პროკურორსა და სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრს აცნობებენ არა უგვიანეს ოცდაათი დღისა სხდომამდე.

პლენუმის დადგენილებათა პროექტები და სასამართლო საქმეებზე პროტესტების თუ დასკვნების პირები გაგზავნებათ პლენუმის წევრებს, სსრ კავშირის გენერალურ პროკურორსა და სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრს სხდომამდე არა უგვიანეს ათი დღისა.

მუხლი 17. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებათა მიღების წესი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სხდომა უფლებამოსილია მისი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედის ყოფნის შემთხვევაში. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებანი მიიღება ერთხმად ან ხმათა ნამეტანი უმრავლესობით, ღია კენჭისყრით.

პლენუმის დადგენილებას ხელს აწერენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე და პლენუმის მდივანი.

მუხლი 18. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის უფლებამოსილება

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი:

1) განიხილავს ზედამხედველობის წესით საქმეებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პროტესტების გამო, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმებისა და პლენუმების დადგენილებებზე იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კანონმდებლობას ან არღვევს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესებს;

2) განიხილავს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა შესახებ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის დასკვნის გამო.

პლენუმის სხდომაზე ახსნა-განმარტების მისაცემად საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მიწვეულ იქნან მოსარჩელე, მოპასუხე და მათი წარმომადგენლები, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი დამცველები, არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლები, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი. შეტყობინება პლენუმის სხდომის შესახებ და პროტესტის ან დასკვნის ასლი ამ პირებს ეგზავნებათ არა უგვიანეს ათი დღისა სხდომამდე.

პროტესტის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა შესახებ დასკვნის განხილვაში მონაწილეობენ მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის წევრები.

მუხლი 20. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში შეტანილი პროტესტის გამოთხოვა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს და სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს უფლება აქვთ გამოთხოვონ თავიანთი პროტესტი საქმის განხილვის დაწყებამდე.

მუხლი 21. სასამართლო საქმის გამო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ დადგენილების მიღების წესი

განხილვის შემდეგ პროტესტი ან დასკვნა, აგრეთვე პლენუმის წევრთა წინადადებანი პროტესტში ან დასკვნაში აღნიშნულისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, გაავრცელებს საყრილად. პლენუმის წევრებს უფლება არა აქვთ თავი შეიკავონ კენჭის ყრისაგან. მოსამართლეს, რომელიც მონაწილეობას იღებდა საქმის განხილვაში პირველი ინსტანციით, კასაციის ან ზედამხედველობის წესით მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში ან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებში, არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამ საქმის განხილვაში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე.

თუ ვერც ერთმა წინადადებამ, მათ შორის პროტესტში ან დასკვნაში ჩამოყალიბებულმა წინადადებებმა, ვერ შეაგროვა ხმის უმრავლესობა, პროტესტი ან დასკვნა დაუკმაყოფილებელი რჩება.

პლენუმის წევრს, რომელიც არ ეთანხმება მიღებულ დადგენილებას, უფლება აქვს თავისი აზრი ჩამოაყალიბოს წერილობითი სახით. იგი დაერთვის პლენუმის სხდომის ოქმს.

მუხლი 22. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის კერძო დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი საჭიროების შემთხვევებში კერძო დადგენილებით მიაპყრობს სამინისტროთა, სახელმწიფო კომიტეტთა, უწყებათა, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისა და სხვა თანამდებობის პირთა ყურადღებას საქმის გამო დადგენილი კანონის დარღვევის ფაქტებს, მიზეზებსა და პირობებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სამართალდარღვევის ჩადენას.

აღნიშნულმა პირებმა ერთი თვის ვადაში უნდა აცნობონ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს ზომები, რომლებიც მათ კერძო დადგენილების გამო მიიღეს.

მუხლი 23. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებათა აღსრულება

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებანი სასამართლო საქმეების შესახებ კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ მათი მიღებისთანავე და აღსრულდება იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

მუხლი 24. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ იმ საკითხთა განხილვა, რომლებიც არ არის დაკავშირებული სასამართლო საქმეთა გადაწყვეტასთან

საკითხებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული სასამართლო საქმეების გადაწყვეტასთან, და ამ კანონის შესაბამისად შეიტანეს პლენუმის განსახილველად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ, სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა ან სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრმა, ისმენენ შესაბამისად მათი მოხსენებების ან მათ მიერ უფლებამოსილ პირთა მოხსენებების მიხედვით. ამასთან, საკითხებზე, რომლებიც პლენუმის განსახილველად შეიტანეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ან სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრმა, დასკვნას იძლევა სსრ კავშირის გენერალური პროკურორი. ამ საკითხთა განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სხდომაზე მიწვეულ პირებს.

სახელმძღვანელო განმარტების შემცველი დადგენილების პროექტის მოსამზადებლად პლენუმი საჭიროების შემთხვევაში ქმნის სარედაქციო კომისიას პლენუმის წევრთაგან.

თავი 3

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიები

მუხლი 25. სასამართლო კოლეგიების შექმნის წესი.

სასამართლო კოლეგიებს ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და მათი მოადგილეების პროტესტების გამო სსრ კავშირის საკავშირო-სამრეწველო პალატასთან არსებული სახელმწიფო საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებებზე.

მუხლი 27. სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია:

1) განიხილავს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო უაღრესად მნიშვნელოვან სამოქალაქო საქმეებს;

2) განიხილავს ზედამხედველობის წესით საქმეებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის და მათი მოადგილეების პროტესტების გამო იმ გადაწყვეტილებებზე, განჩინებებზე, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ გამოიტანა როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, იმ შემთხვევაში თუ ისინი ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კანონმდებლობას ან არღვევს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესებს;

3) წყვეტს მოკავშირე რესპუბლიკათა სასამართლოებს შორის დავას საქმის განხილვის ადგილის შესახებ;

4) წყვეტს საკითხს, თუ რამდენად შესაძლებელია გამოიყენონ სასამართლოებმა სხვა სახელმწიფოს საპროცესო კანონმდებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად სრულდება უცხოეთის სასამართლოების დავალებანი ცალკეული საპროცესო მოქმედების წარმოების შესახებ;

5) განიხილავს საქმეებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის და მათი მოადგილეების პროტესტების გამო სსრ კავშირის საკავშირო-სამრეწველო პალატასთან არსებული სახელმწიფო საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებებზე;

მუხლი 28. სამხედრო კოლეგიის უფლებამოსილება

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია:

1) განიხილავს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო უაღრესად მნიშვნელოვან საქმეებს, რომლებიც განსაკადია სამხედრო ტრიბუნალებში, აგრეთვე საქმეებს იმ სამხედრო მოსამსახურეების დანაშაულთა შესახებ, რომლებსაც აქვთ განერილის (ადმირალის) სამხედრო წოდებანი, ან უკავიათ თანამდებობა შენაერთის მეთაურიდან დაწყებული და უფრო მაღალი და მათი თანასწორი თანამდებობანი;

2) განიხილავს საკასაციო, კერძო საჩივრებსა და პროტესტებს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, ოლქების, ჯარების ჯგუფების, ფლოტების სამხედრო ტრიბუნალების გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე, ამ ტრიბუნალების მოსამართლეთა დადგენილებებზე.

3) განიხილავს ზედამხედველობის წესით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, მათი მოადგილეების, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავარი სამხედრო პროკურორის პროტესტების სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, ოლქების, ჯარების ჯგუფების, ფლოტების სამხედრო ტრიბუნალების გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე ამ ტრიბუნალების მოსამართლეების დადგენილებებზე:

4) განიხილავს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა შესახებ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ან მთავარი სამხედრო პროკურორის დასკვნების მიხედვით საქმეებს, რომელთა გამო გადაწყვეტილებანი, განაჩენები ან განჩინებანი გამოიტანეს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, ოლქების, ჯარების ჯგუფებისა და ფლოტების სამხედრო ტრიბუნალებმა.

მუხლი 29. პროცესის მონაწილეთა მიწვევა სასამართლო კოლეგიათა სხდომებზე

საჭიროების შემთხვევაში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიების სხდომებზე, რომლებიც საქმეებს ზედამხედველობის წესით განიხილავენ, ხოლო სამხედრო კოლეგიის სხდომებზე — ასევე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ახსნა-განმარტების მისაცემად შეიძლება მიწვეულ იქნან მოსარჩელე, მოპასუხე და მათი წარმომადგენლები, მსჯავრდებული, გამართლებული, არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლები, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი. შეტყობინება კოლეგიის სხდომის შესახებ და პროტესტის ან დასკვნის ასლი ამ პირებს ეგზავნებათ არა უგვიანეს ათი დღისა სხდომამდე.

მუხლი 30. სასამართლო კოლეგიების მიერ საქმეების განხილვის წესი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა სხდომებზე სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები განიხილება სსრ კავშირის სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის მიხედვით, შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების საპროცესო კოდექსებით დადგენილი წესების დაცვით.

მუხლი 31. სასამართლო კოლეგიების გადაწყვეტილებანი, განაჩენები და განჩინებანი

პირველი ინსტანციით განხილულ საქმეებზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებს გამოაქვთ გადაწყვეტილებანი და განაჩენები საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით.

კასაციის, ზედამხედველობის წესით, აგრეთვე ახლად აღმოჩენილ გარემოებებთან დაკავშირებით ჯანხილულ საქმეებზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო სასამართლო კოლეგიებს გამოაქვთ განჩინებანი.

მუხლი 32. მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის განსაკუთრებული აზრი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე ან სახალხო მსაჯული, რომელიც სასამართლო კოლეგიის განხილვისას განსაკუთრებულ აზრს ადგას, აყალიბებს მას წერილობით. განსაკუთრებული აზრი სასამართლო სხდომაზე არ ქვეყნდება, მაგრამ დაერთვის საქმეს და მოხსენდება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

მუხლი 33. სასამართლო კოლეგიათა კერძო განჩინებანი

საქმის გამო გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების მიღების ერთდროულად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგია საჭიროების შემთხვევაში კერძო განჩინებით მიაპყრობს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და სხვა თანამდებობის პირთა ყურადღებას საქმეებთან დაკავშირებულ ხელისშემშლელ ფაქტებს, მიზეზებსა და პირობებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სამართალდარღვევის ჩადენას.

აღნიშნულმა პირებმა ერთი თვის განმავლობაში უნდა აცნობონ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს მათ მიერ კერძო განჩინების გამო მიღებული ზომების შესახებ.

მუხლი 34. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიების გადაწყვეტილებათა, განაჩენთა და განჩინებათა აღსრულება.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა გადაწყვეტილებანი, განაჩენები, განჩინებანი კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ მათი მიღებისთანავე და აღსრულდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

თავი 4

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი

მუხლი 35. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს:

1) სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში შეაქვს პროტესტები სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა გადაწყვეტილებებზე; იმ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ გამოიტანა, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ; სასამართლო საქმეთა გამო მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პლენუმებისა და პრეზიდიუმების მიერ მიღებულ დადგენილებებზე; სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, ოლქების, ჯარების ჯგუფების, ფლოტების სამხედრო ტრიბუნალების გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე, ამ ტრიბუნალების მოსამართლეთა დადგენილებებზე;

2) განიხილავს საკასაციო, კერძო საჩივრებსა და პროტესტებს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, ოლქების, ჯარების ჯგუფების, ფლოტების სამხედრო ტრიბუნალების გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე, ამ ტრიბუნალების მოსამართლეთა დადგენილებებზე.

3) განიხილავს ზედამხედველობის წესით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, მათი მოადგილეების, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავარი სამხედრო პროკურორის პროტესტების სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, ოლქების, ჯარების ჯგუფების, ფლოტების სამხედრო ტრიბუნალების გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე ამ ტრიბუნალების მოსამართლეების დადგენილებებზე:

4) განიხილავს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა შესახებ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ან მთავარი სამხედრო პროკურორის დასკვნების მიხედვით საქმეებს, რომელთა გამო გადაწყვეტილებანი, განაჩენები ან განჩინებანი გამოიტანეს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, ოლქების, ჯარების ჯგუფებისა და ფლოტების სამხედრო ტრიბუნალებმა.

მუხლი 36. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებს:

1) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებში შეაქვთ პროტესტები გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესმა სასამართლომ გამოიტანა, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ; პროტესტები სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული სახელმწიფო საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებებზე;

2) შეიტანენ სასამართლო შემადგენლობებს კოლეგიათა სასამართლო სხდომებში საქმეების განსახილველად;

3) თავმჯდომარეობენ იმ კოლეგიათა სასამართლო სხდომებს, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ;

4) წარუდგენენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს ანგარიშებს კოლეგიათა საქმიანობის შესახებ;

5) უფლება აქვთ გამოითხოვონ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებში სასამართლო საქმეები ზედამხედველობის წესით შესამოწმებლად, აგრეთვე სასამართლო პრაქტიკის შესასწავლად და განსაზოგადებლად;

6) წყვეტენ, საჭიროების შემთხვევაში, საკითხს იმის თაობაზე, რომ საქმე ერთი მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოდან გადაეცეს მეორე მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, ოლქების, ჯარების ჯგუფების, ფლოტების სამხედრო ტრიბუნალების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე, ამ ტრიბუნალების მოსამართლეთა დადგენილებებზე;

7) ადგენენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენის გამოცემის ვადებს;

8) ეწევიან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეებს;

9) შეაქვს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში წარდგინებანი იმის თაობაზე, რომ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ერთ-ერთ ან ორ მოსამართლეს, ასევე ამ სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეებს:

1) ეწევიან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა სხდომებს;

2) ქმნიან სასამართლო შემადგენლობებს, ადგენენ საქმეთა განხილვის დროსა და ადგილს;

3) თავმჯდომარეობენ იმ კოლეგიათა სასამართლო სხდომებს, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ;

4) წარუდგენენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს ანგარიშებს კოლეგიათა საქმიანობის შესახებ;

5) უფლება აქვთ გამოითხოვონ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებში სასამართლო საქმეები ზედამხედველობის წესით შესამოწმებლად, აგრეთვე სასამართლო პრაქტიკის შესასწავლად და განსაზოგადებლად;

6) ადგენენ, საჭიროების შემთხვევაში, საკითხს იმის თაობაზე, რომ საქმე ერთი მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოდან გადაეცეს მეორე მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, ოლქების, ჯარების ჯგუფების, ფლოტების სამხედრო ტრიბუნალების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე, ამ ტრიბუნალების მოსამართლეთა დადგენილებებზე;

— სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 37. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები:

1) ხელმძღვანელობენ შესაბამისი კოლეგიების მუშაობას;

2) ქმნიან სასამართლო შემადგენლობებს კოლეგიათა სასამართლო სხდომებში საქმეების განსახილველად;

3) თავმჯდომარეობენ იმ კოლეგიათა სასამართლო სხდომებს, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ;

4) წარუდგენენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს ანგარიშებს კოლეგიათა საქმიანობის შესახებ;

5) უფლება აქვთ გამოითხოვონ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებში სასამართლო საქმეები ზედამხედველობის წესით შესამოწმებლად, აგრეთვე სასამართლო პრაქტიკის შესასწავლად და განსაზოგადებლად;

6) ადგენენ, საჭიროების შემთხვევაში, საკითხს იმის თაობაზე, რომ საქმე ერთი მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოდან გადაეცეს მეორე მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, ოლქების, ჯარების ჯგუფების, ფლოტების სამხედრო ტრიბუნალების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე, ამ ტრიბუნალების მოსამართლეთა დადგენილებებზე;

7) ეწევიან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სასამართლო სხდომებს;

8) ეწევიან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სასამართლო სხდომებში საქმეების განსახილველად;

9) ადგენენ, ხელმძღვანელობენ ამ ტრიბუნალების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოებს;

10) ეწევიან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო ტრიბუნალების ინსპექტირებას;

11) ახორციელებენ სასამართლო კოლეგიათა მუშაობის ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას და ხელმძღვანელობს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს აპარატის მუშაობას;

12) ახორციელებენ მისთვის ამ კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 38. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობებს შესრულებასთან ერთად ახორციელებს ორგანიზაციულ მუშაობას პლენუმის სხდომების მოსამზადებლად, უზრუნველყოფს ოქმების წარმოებას და ასრულებს პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისათვის საჭირო მოქმედებას.

თავი 5

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს აპარატი

მუხლი 39. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სტრუქტურა და შტატები

სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განზოგადებისა და სასამართლო სტატისტიკის ანალიზისთვის, საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიზაციის და პროპაგანდის და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს საქმიანობებთან დაკავშირებული სხვა ფუნქციების შესრულებისათვის მუშაობის მოსაწყობად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს აპარატის შემადგენლობაში იქმნება განყოფილებანი და სტრუქტურული ქვანაყოფები. განყოფილებების, სხვა სტრუქტურული ქვანაყოფების უფროსები და მათი მოადგილეები არიან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის უფროსი თანაშემწეები ან თანაშემწეები. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ჰყავს აგრეთვე თანაშემწეები მუ

საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკების კავშირის

კანონი

სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონების შესრულებისადმი უმაღლესი ზედამხედველობა

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად ყველა სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, კოლმეურნეობების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირების, აგრეთვე მოქალაქეების მიერ კანონების ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი უმაღლესი ზედამხედველობა ეკისრებათ სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს და მისდამი დაქვემდებარებულ პროკურორებს.

მუხლი 2. პროკურატურის ამოცანები

სსრ კავშირის პროკურატურის საქმიანობის მიზანია ყოველმხრივ განამტკიცოს სოციალისტური კანონიერება და მართლწესრიგი, და ამოცანად ისახავს დაიცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან:

სსრ კავშირის კონსტიტუციით დამკვიდრებული სსრ კავშირის საზოგადოებრივი წყობილება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები;

მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებანი, რომლებიც გამოცხადებული და გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით და საბჭოთა კანონებით;

სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებები და კანონიერი ინტერესები.

მთელი თავისი საქმიანობით პროკურატურა ხელს უწყობს თანამდებობის პირებისა და მოქალაქეთა აღზრდას თავიანთ კონსტიტუციურ მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულების, კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის სულისკვეთებით.

მუხლი 3. პროკურატურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი.

სსრ კავშირის პროკურატურა მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად მოქმედებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობა (საერთო ზედამხედველობა);

მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობა;

სასამართლოებში საქმეთა განხილვისას კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობა;

დაკავებულთა ყოლის ადგილებში, წინასწარი პატიმრობის ადგილებში სასჯელისა და სასამართლოს მიერ დანიშნული სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებების შესრულებისას კანონების დაცვისადმი ზედამხედველობა;

სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ კანონების დარღვევებთან ბრძოლა;

დამნაშავეობასთან და სხვა სამართალდარღვევებთან ბრძოლა, დანაშაულთა გამოძიება, დანაშაულის ჩადენ პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დანაშაულისათვის პასუხისგების გარდაუვალობის უზრუნველყოფა;

სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად დანაშაულთა და სხვაგვარ სამართალდარღვევათა თავიდან აცილების ღონისძიების შემუშავება;

დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევების წინააღმდეგ საბრძოლველად სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია;

კანონმდებლობის სრულყოფასა და საბჭოთა კანონების პროპაგანდაში მონაწილეობა.

მუხლი 4. პროკურატურის ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპები

პროკურატურის ორგანოები:

შეადგენენ ერთიანსა და ცენტრალიზებულ სისტემას — სსრ კავშირის პროკურატურას, რომელსაც სათავეში უდგას სსრ კავშირის გენერალური პროკურორი, ზემდგომი პროკურორებისადმი ქვემდგომთა დაქვემდებარებით;

მოქმედებენ სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციებისა და ავტონომიურ რესპუბლიკათა კონსტიტუციების და საბჭოთა კანონების შესაბამისად;

ანარიციელებენ ზედამხედველობას კანონების სწორი და ერთგვაროვანი გამოყენებისადმი, მიუხედავად ყოველგვარი ადგილობრივი განსხვავებისა და ყოველგვარი ადგილობრივი და უწყებრივი გავლენის საწინააღმდეგოდ;

იღებენ ზომებს კანონის ყოველგვარი დარღვევის გამოვლენისა და დროული აღკვეთისათვის, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს დარღვევა, დარღვეული უფლებების აღდგენისა და დამნაშავეთა მისაცემად კანონით დადგენილ პასუხისგებაში.

თანამოქმედებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და შრომითს კოლექტივებთან, ეყრდნობიან მოქალაქეთა აქტიურ დახმარებას მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში.

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად პროკურატურის ორგანოები თავიანთ უფლებამოსილებას ყოველგვარი ადგილობრივი ორგანოსაგან დამოუკიდებლად ახორციელებენ და მხოლოდ სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ემორჩილებიან.

მუხლი 5. კანონმდებლობა პროკურატურის შესახებ

პროკურატურის ორგანოების ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს და პროკურორთა უფლებამოსილებას განსაზღვრავს სსრ კავშირის კონსტიტუცია, ეს კანონი და სსრ კავშირის სხვა საკანონმდებლო აქტები. პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა მიერ სამართალწარმოებაში უფლებამოსილების განხორციელების წესს განსაზღვრავენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტები.

მუხლი. 6. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის დანიშვნა, პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, რომლის წინაშეც იგი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია, ხოლო უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი უფლებამოსილია პერიოდში სულ ცოტა ერთჯერ წარუდგინს თავისი საქმიანობის ანგარიშს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს და სისტემატიურად მოახსენებს მის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მუხლი 7. ქვემდგომი პროკურორების დანიშვნა

მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და ავტონომიური ოლქების პროკურორებს ნიშნავს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი. ავტონომიური ოკრუგების პროკურორებს, რაიონულ და საქალაქო პროკურორებს ნიშნავენ მოკავშირე, რესპუბლიკების პროკურორები და ამტკიცებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

მუხლი 8. პროკურორთა უფლებამოსილების ვადა

სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და ყველა ქვემდგომი პროკურორის უფლებამოსილების ვადაა ხუთი წელი.

მუხლი 9. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების საკანონმდებლო ინიციატივის უფლება

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს აქვს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციებისა და ავტონომიურ რესპუბლიკათა კონსტიტუციების შესაბამისად მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოსა და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში.

სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს უფლება აქვთ შეიტანონ წარდგინებანი შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებში იმ საკითხებზე, რომლებიც კანონების განმარტებას მოითხოვენ.

მუხლი 10. წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა პროკურატურის ორგანოებში

პროკურორები მოვალენი არიან კანონით დადგენილი წესით გახიხლონ მოქალაქეთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წინადადებები, განცხადებები და საჩივრები, და მიიღონ ზომები მოქალაქეთა და ორგანიზაციათა დარღვეული უფლებების აღსადგენად და მათი კანონიერი ინტერესების დასაცავად.

პროკურორები აწყობენ მოქალაქეთა პირად მიღებას.

მუხლი 11. პროკურატურის ორგანოების მიერ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საკითხთა გადაწყვეტა

პროკურატურის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და დადგენილი წესით წყვეტენ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საკითხებს.

II. პროკურატურის ორგანოების სისტემა და მათი ორგანიზაცია

მუხლი 12. პროკურატურის ორგანოების სისტემა

პროკურატურის ორგანოებს სისტემას შეადგენენ სსრ კავშირის პროკურატურა, მოკავშირე რესპუბლიკების პროკურატურები, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების პროკურატურები, ოლქების პროკურატურები უფლებებით მოქმედი ქალაქების პროკურატურები, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების პროკურატურები, რაიონული, საქალაქო პროკურატურები.

პროკურატურის ორგანოების სისტემაში შედიან აგრეთვე სამხედრო პროკურატურები, სატრანსპორტო და სხვა პროკურატურები, რომლებიც გათანაბრებულია ოლქების, რაიონების პროკურატურებთან ან საქალაქო პროკურატურებთან. სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს შეუძლია იმ ქალაქებში, სადაც არის რაიონული პროკურატურები, შექმნას საქალაქო პროკურატურები მათდამი რაიონული პროკურატურების დაქვემდებარებით.

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში მოქმედი სამხედრო პროკურატურის ორგანიზაციას და საქმიანობის წესს განსაზღვრავს ეს კანონი, სსრ კავშირის სხვა საკანონმდებლო აქტები და დებულება სამხედრო პროკურატურის შესახებ, რომელსაც სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინებით ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

სატრანსპორტო პროკურატურები რკინგზის, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტზე და სხვა პროკურატურები, რომლებსაც სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ქმნის, ყალიბდება და მოქმედებს საოლქო, რაიონული პროკურატურების ან საქალაქო პროკურატურების უფლებებით.

მუხლი 13. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის უფლებამოსილება პროკურატურის ორგანოებისადმი ხელმძღვანელობაში

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ხელმძღვანელობს პროკურატურის ორგანოების საქმიანობას და ახორციელებს კონტროლს მათი მუშაობისადმი.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი კანონების საფუძველზე და შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა პროკურატურის ყველა ორგანოსათვის.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მითითებანი საგამოძიებო მუშაობის საკითხებზე სავალდებულოა შესასრულებლად ყველა საგამოძიებო ორგანოებისათვის.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი განსაზღვრავს პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა თანამდებობაზე დანიშვნისა და ამ თანამდებობიდან განთავისუფლების წესს, გარდა იმ მუშაკებისა, რომელთა დანიშვნის და განთავისუფლების წესი ამ კანონით არის დადგენილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლია გაუქმოს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებები, ინსტრუქციები და მითითებანი თუ ისინი არ შეესაბამება კანონს.

მუხლი 14. სსრ კავშირის პროკურატურა

სსრ კავშირის პროკურატურას სათავეში უდგას სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები, რომლებსაც სსრ კავშირის გენერალური პროკურორი წარდგინებით ნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

სსრ კავშირის პროკურატურაში იქმნება კოლეგია სსრ კავშირის გენერალური პროკურორის (თავჯდომარე), მისი პირველი მოადგილის და თანამდებობის მიხედვით მოადგილეების, აგრეთვე პროკურატურის ორგანოების სხვა ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით. კოლეგიის პერსონალურ შემადგენლობას მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორის წარდგინებით ამტკიცებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

მოკავშირე რესპუბლიკების პროკურატურებში არის სამმართველოები და განყოფილებები. სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსები და უფროსთა მოადგილეები არიან სსრ კავშირის გენერალური პროკურორის უფროსი და თანაშემწენი, რომლებსაც ნიშნავს და ათავისუფლებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი წარდგინებით ნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი კანონების საფუძველზე და შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა პროკურატურის ყველა ორგანოსათვის.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მითითებანი საგამოძიებო მუშაობის საკითხებზე სავალდებულოა შესასრულებლად ყველა საგამოძიებო ორგანოებისათვის.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი განსაზღვრავს პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა თანამდებობაზე დანიშვნისა და ამ თანამდებობიდან განთავისუფლების წესს, გარდა იმ მუშაკებისა, რომელთა დანიშვნის და განთავისუფლების წესი ამ კანონით არის დადგენილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლია გაუქმოს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებები, ინსტრუქციები და მითითებანი თუ ისინი არ შეესაბამება კანონს.

მუხლი 15. მოკავშირე რესპუბლიკების პროკურატურები

მოკავშირე რესპუბლიკების პროკურატურებს სათავეში უდგანან მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორები.

მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორებს ჰყავთ პირველი მოადგილეები და მოადგილეები, რომლებსაც სსრ კავშირის გენერალური პროკურორი წარდგინებით ნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

მუხლი 16. ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების პროკურატურები, რაიონული და საქალაქო პროკურატურები

ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების პროკურორებს ჰყავთ პირველი მოადგილეები და მოადგილეები.

ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქების პროკურორებს ამტკიცებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების, რაიონული და საქალაქო პროკურორებს, ასევე ამ ორგანოებისადმი ქვემდგომ სამხედრო, სატრანსპორტო და სხვა პროკურორებს ნიშნავენ მოკავშირე, რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების, ოლქების, ქალაქ

საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკების კავშირის

კანონი

სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ

(დასასრული).

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები ახორციელებენ ზედამხედველობას სასამართლოებში საქმეთა განხილვისას, პროკურორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

1) მონაწილეობს სასამართლოს განსაკარგულებელ სხდომაში, საქმის სასამართლო გარჩევაში პირველი ინსტანციის მიხედვით, საკასაციო და საზედამხედველო წესით; იძლევა დასკვნებს საქმეთა განხილვისას წამოჭრილ საკითხებზე; წარადგენს სარჩელს და შეაქვს განცხადებები სასამართლოში, აძლევს დასკვნას საქმის არსის გამო მთლიანად სამოქალაქო საქმეებზე; მხარს უჭერს სასამართლოს წინაშე სახელმწიფო ბრალდებას სისხლის სამართლის საქმეთა გამო, ხოლო სათანადო საფუძვლის არსებობისას უარს ამბობს ბრალდებაზე; ასრულებს კანონით გათვალისწინებულ სხვა საპროცესო მოქმედებას;

2) აპროტესტებს სასამართლოს უკანონო და დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებს, განაჩენებს, განჩინებებსა და დადგენილებებს, მოსამართლეთა დადგენილებებს;

3) ამოწმებს სასამართლოს გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების აღსასრულებლად მიქცევის კანონიერებას, აპროტესტებს სასამართლო აღმასრულებლის უკანონო მოქმედებას;

4) იღებს ზომებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებების, განჩინებებისა და დადგენილებების გადასასინჯად და სისხლის სამართლის საქმის გასახლებლად ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

მუხლი 33. სასამართლოთა გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების გაპროტესტება საკასაციო წესით

უკანონო და დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე საკასაციო და კერძო პროტესტების შეტანის უფლება აქვს პროკურორს და პროკურორის მოადგილეს მათი კომპეტენციის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდნენ თუ არა ისინი საქმის გარჩევაში პირველი ინსტანციის სასამართლოში, პროკურორთა თანაშემწეებს, სამმართველოებისა და განყოფილებების პროკურორებს შეუძლიათ პროტესტების შეტანა მხოლოდ იმ საქმეებზე, რომელთა განხილვაშიც მონაწილეობდნენ ისინი.

მუხლი 34. ზედამხედველობის წესით შემოწმებისათვის საქმეების გამოთხოვა სასამართლოდან

პროკურორს უფლება აქვს თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოითხოვოს სასამართლოდან ნებისმიერი საქმე, ან საქმეთა კატეგორია, რომელზეც გადაწყვეტილება, განაჩენი, განჩინება ან დადგენილება კანონიერ ძალაში შევიდა. თუ პროკურორი სასამართლოს გადაწყვეტილებას, განაჩენს, განჩინებას ან დადგენილებას უკანონოდ და უსაფუძვლოდ მიიჩნევს, მაშინ პროტესტი შეაქვს ზედამხედველობის წესით, ან თუ ეს მისი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება, ზემდგომ პროკურორს მიმართავს წარდგენებით პროტესტის შეტანის შესახებ. პროტესტის შეტანის საფუძვლების არარსებობისას პროკურორი თავის გადაწყვეტილებას და მის მოტივებს აცნობებს პირებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთა შუამდგომლობითაც შემოწმდა საქმე.

მუხლი 35. სასამართლოების გადაწყვეტილებათა, განაჩენთა, განჩინებათა და დადგენილებათა გაპროტესტება ზედამხედველობის წესით

ზედამხედველობის წესით პროტესტის შეტანის უფლება აქვთ:

სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს — სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის ნებისმიერი სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების გამო;

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილეებს — ნებისმიერი სასამართლოდან გადაწყვეტილებებს, განაჩენს, განჩინებისა და დადგენილებების გამო, გარდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიების გადაწყვეტილებებს, განაჩენებს და განჩინებებს და მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოების პლენუმების ან ამ სასამართლოთა პრეზიდიუმების დადგენილებებისა, როცა პრეზიდიუმი უმაღლესი სასამართლო საზედამხედველო ინსტანციაა;

მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორს და მის მოადგილეებს — მოკავშირე რესპუბლიკის ნებისმიერი სასამართლოს გადაწყვეტილებებს, განაჩენს, განჩინებისა და დადგენილების გამო, გარდა მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის (პრეზიდიუმის) დადგენილებებისა;

ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ქალაქის პროკურორს, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის პროკურორს — რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების და შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს, სამხარეო, საოლქო, საქალაქო სასამართლოს, ავტონომიური ოლქის სასამართლოს, ავტონომიური ოკრუგის სასამართლოს, სასამართლო კოლეგიის განჩინების გამო, რომლებიც საკასაციო წესით განხილავდნენ საქმეებს;

მთავარ სამხედრო პროკურორს — ნებისმიერი სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების, ამ ტრიბუნალების მოსამართლეთა დადგენილებების გამო.

მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილეებს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, სამხედრო ოლქის, სპეციალური დაცვის ოლქის, ჯარების ჯგუფის, ფლოტის სამხედრო პროკურორს — არმიის, ფლოტილიის, შენაერთისა და გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში სასამართლო საქმეზე პროტესტის შეტანის უფლება აქვს სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს,

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის გამო მოსამართლის დადგენილებაზე პროტესტის შეტანა შეუძლიათ რაიონულ, საქალაქო, ზემდგომ პროკურორებსა და მათს მოადგილეებს.

მუხლი 36. პროტესტის გამოთხოვა

სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების გამო პროტესტის გამოთხოვა შეუძლია პროტესტის შემტან პროკურორს ან ზემდგომ პროკურორს სასამართლოს მიერ პროტესტის განხილვის დაწყებამდე.

მუხლი 37. სასამართლოების გადაწყვეტილებათა, განაჩენთა, განჩინებათა და დადგენილებათა აღსრულების შეჩერება ზედამხედველობის წესით

სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს, მთავარ სამხედრო პროკურორს, მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორს და მათს მოადგილეებს უფლება აქვთ შეაჩერონ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს გაპროტესტებული განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება სასამართლო ზედამხედველობის წესით საქმის დადგენამდე.

თუ ხელთ აქვთ მონაცემები, რომლებიც კანონის აშკარა დარღვევას მოწმობენ, აღნიშნულ პროკურორებს შეუძლიათ სისხლის სამართლის საქმის გამოთხოვნის ერთდროულად შეაჩერონ სასამართლოს განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება მათს გაპროტესტებამდე არაუმეტეს სამი თვის ვადით.

პროკურორებსა და მათს მოადგილეებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ უფლება შეიტანონ პროტესტი ზედამხედველობის წესით სამოქალაქო საქმის გამო ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის გამო, საქმის გამოთხოვნის შემდეგ შეუძლიათ შეაჩერონ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება ზედამხედველობის წესით წარმოების დამთავრებამდე.

მუხლი 38. პროკურორის მონაწილეობა სასამართლოთა პლენუმებისა და პრეზიდიუმების სხდომებში

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მონაწილეობა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სხდომაში, მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორისა — მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის (პრეზიდიუმის) სხდომაში, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის პროკურორისა — შესაბამისი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომაში — სავალდებულოა.

მუხლი 39. პროკურორის წარდგინება სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო განმარტების მიცემის შესახებ

სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს უფლება აქვს შეიტანოს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განსახილველად, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორს — მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმების განსახილველად — წარდგინებანი სამოქალაქო საქმეების განხილვისას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებისა და სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას კანონების გამოყენების საკითხებზე სახელმძღვანელო განმარტების მიცემის შესახებ.

მუხლი 40. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინება კანონისადმი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების შეუსაბამობის შესახებ

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი მოვალეა შეიტანოს წარდგინება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში, თუ იგი მიიჩნევს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება არ შეესაბამება კანონს.

მუხლი 41. პროკურორის წარდგინება კანონისადმი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტების შეუსაბამობის შესახებ

მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორი მოვალეა შეიტანოს წარდგინება სსრ კავშირის გენერალურ პროკურორთან, თუ მიიჩნევს, რომ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტება სასამართლოებისადმი სასამართლო საქმეთა განხილვისას კანონების გამოყენების საკითხებზე არ შეესაბამება სსრ კავშირის კანონმდებლობას. თუ მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორი მიიჩნევს, რომ სახელმძღვანელო განმარტება არ შეესაბამება მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობას, იგი მოვალეა წარდგინება შეიტანოს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

თავი 4

დაკავებულთა ყოლის ადგილებში, წინასწარი პატიმრობის ადგილებში, სასჯელისა და სასამართლოს მიერ დანიშნული იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა აღსრულებისას კანონების დაცვისადმი ზედამხედველობა

მუხლი 42. დაკავებულთა ყოლის ადგილებში, წინასწარი პატიმრობის ადგილებში, სასჯელისა და სასამართლოს მიერ დანიშნული იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა აღსრულებისას კანონების დაცვისადმი ზედამხედველობის ამოცანები

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები ახორციელებენ ზედამხედველობას დაკავებულთა ყოლის ადგილებში, წინასწარი პატიმრობის ადგილებში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, თავისუფლების აღკვეთასთან დაუკავშირებელი სასჯელის და სასამართლოს მიერ დანიშნული იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებების აღსრულებისას კანონების დაცვისადმი, რათა:

დაკავებულთა ყოლის ადგილებში, წინასწარი პატიმრობის ადგილებში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, იძულებითი მკურნალობისა და აღზრდის დაწესებულებებში ყოლა ხორციელდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ კანონთა დადგენილი საფუძვლითა და წესით;

სრულდებოდეს კანონმდებლობა დაკავებულთა და დაპატიმრებულთა ყოლის, სასჯელის მოხდის, მსჯავრდებულთა აღზრდა-გასწორების, იმ პირთა ყოლის წესისა და პირობების შესახებ, რომელთა მიმართ კანონის შესაბამისად გამოყენებულია იძულებითი მკურნალობისა და აღზრდის ღონისძიებანი;

უზრუნველყოფილი იყოს დაკავებულთა, დაპატიმრებულთა, მსჯავრდებულთა, აგრეთვე იმ პირთა კანონით დაწესებული უფლებებისა და მოვალეობების დაცვა, რომელთა მიმართ გამოყენებულია იძულებითი მკურნალობისა და აღზრდის ღონისძიებანი.

მუხლი 43. პროკურორის უფლებამოსილება დაკავებულთა ყოლის ადგილებში, წინასწარი პატიმრობის ადგილებში, სასჯელისა და სასამართლოს მიერ დანიშნულ იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა აღსრულებისას კანონების დაცვისადმი ზედამხედველობის განსახორციელებლად

დაკავებულთა ყოლის ადგილებში, წინასწარი პატიმრობის ადგილებში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, თავისუფლების აღკვეთასთან დაუკავშირებელი სასჯელისა და სასამართლოს მიერ დანიშნული იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა აღსრულებისას ზედამხედველობის განხორციელების დროს პროკურორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

1) კანონების დაცვის შემოწმების მიზნით სისტემატურად და ყოველ დროს დადის დაკავებულთა ყოლის ადგილებში, წინასწარი პატიმრობის ადგილებში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, იძულებითი მკურნალობისა და აღზრდის დაწესებულებებში;

2) ეცნობა დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზე დაკავეს პირნი, ამყოფებენ წინასწარ პატიმრობაში, აგრეთვე ახდევინებენ სასჯელს თავისუფლების აღკვეთის და სასჯელის სხვა ღონისძიებათა სახით ან შეუფარდეს იძულებითი მკურნალობისა და აღზრდის ღონისძიებები;

3) დაუყოვნებლივ ათავისუფლებს პირს, რომელიც უკანონოდ ჰყავთ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ან კანონის დარღვევით დაკავეს, აიყვანეს წინასწარ პატიმრობაში, შეუფარდეს იძულებითი მკურნალობა ან აღზრდა;

4) ეწევა დაკავებულ, დაპატიმრებულ, მსჯავრდებულ და იმ პირთა გამოკითხვას, ვისაც იძულებით მკურნალობენ და ასწორებენ;

5) ამოწმებს, რამდენად შეესაბამება ამ მუხლში ჩამოთვლილ დაწესებულებათა ადმინისტრაციის ბრძანებები, განკარგულებები და დადგენილები კანონებს, რომლებიც არეგულირებენ ამ დაწესებულებებში პირთა ყოლის და სასჯელის აღსრულების წესს და პირობებს; აჩერებს ასეთი აქტების შესრულებას და აპროტესტებს მათ კანონისადმი წინააღმდეგობის შემთხვევაში.

მუხლი 44. პროკურორის დადგენილებათა და წინადადებათა შესრულება

დაკავებულთა, დაპატიმრებულთა, თავისუფლების აღკვეთა მოსჯილთა და სასჯელის სხვა ღონისძიებებმოსჯილთა, აგრეთვე იმ პირთა ყოლის კანონით დადგენილი წესისა და პირობების დაცვის თაობაზე პროკურორის დადგენილებანი და წინადადებანი, რომელთა მიმართ გამოყენებულია იძულებითი მკურნალობა ან აღზრდის ღონისძიებები. — აუცილებლად უნდა შეასრულოს დაკავებულთა ყოლის ადგილებში, წინასწარი პატიმრობის ადგილების, თავისუფლების აღკვეთის ადგილების, იძულებითი მკურნალობისა და აღზრდის განმახორციელებელი დაწესებულებების ადმინისტრაციამ, აგრეთვე ორგანოებმა, რომლებიც აღასრულებენ სასამართლოების განაჩენებს ამ პირთა მიმართ, ვისაც მოსჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთასთან დაუკავშირებელი სასჯელის ღონისძიებანი.

მუხლი 45. პროკურორის მოვალეობანი საჩივარ-განცხადებებით მიმართვის უფლების უზრუნველსაყოფად

პროკურორი თავისუფლს ადევნებს იმას, თუ როგორ სრულდება კანონის მოთხოვნები დაკავებულთა, დაპატიმრებულთა, თავისუფლებაშეზღუდულ-თამისაკენ[illegible] ... ან ამ პირთა უფლება, რომლებსაც შეიარაღებული აქვთ იძულებითი მკურნალობისა და აღზრდის ღონისძიებები, — საჩივრებითა და განცხადებებით მიმართონ სახელმწიფო ორგანიზაციებს და თანამდებობის პირებს, და აღმინისტრაციის იმ მოვალეობის შესახებ, რომ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად დანიშნულებისამებრ გაგზავნოს საჩივრები და განცხადებანი. პროკურორი მოვალეა კანონით დადგენილ ვადაში განიხილოს შემოსული საჩივარი ან განცხადება, მიიღოს საჭირო ზომები და აცნობოს თავისი გადაწყვეტილება განმცხადებელს.

IV. პროკურატურის ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის სხვა საკითხები

მუხლი 46. სსრ კავშირის პროკურატურასთან არსებული სამეცნიერო და სხვა დაწესებულებანი და ორგანიზაციები

სსრ კავშირის პროკურატურასთან არსებობს დამნაშავეობის მიზეზების შესწავლისა და თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავების სრულიად საკავშირო ინსტიტუტი, სსრ კავშირის პროკურატურის ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი და მისი ფილიალები, საგამომძიებო მუშაკთა დახელოვნების ინსტიტუტი, პროკურატურის ორგანიზაციისა და საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ სამეცნიერო და სხვა წინადადებათა განხილვის სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭო, აგრეთვე აქვს პოლიგრაფიული საწარმო, რომელსაც ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვების წლიური და პერსპექტიულ გეგმებს უმტკიცებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

სსრ კავშირის პროკურატურა სცემს ჟურნალს „სოციალისტური კანონიერება“ („სოციალისტური კანონიერება“).

მუხლი 47. პროკურატურის ორგანოების მუშაკთა წახალისება და პასუხისმგებლობა

პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა წახალისების, აგრეთვე დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის წესი დგინდება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის პროკურატურის ორგანოების მუშაკები შეიძლება სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მიერ დაჯილდოვდნენ დაწესებული ნიმუშის სამკერდე ნიშნით „პროკურატურის საპატიო მუშაკი“ და ამასთანავე გადაეცეთ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის სიგელი. „პროკურატურის საპატიო მუშაკის“ სამკერდე ნიშნით დასაჯილდოებლად წარდგენის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრა და გამოძიება მხოლოდ და მხოლოდ პროკურატურის კომპეტენციას შეადგენს და უნდა მოხდეს მხოლოდ იმ ორგანოს თანხმობით, რომელმაც აღნიშნული პირნი დანიშნა თანამდებობაზე.

მუხლი 48. პროკურატურის ორგანოების სტრუქტურისა და შტატების დამტკიცების წესი

სსრ კავშირის პროკურატურის სტრუქტურას სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინებით ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

პროკურატურის ქვემდგომი ორგანოების სტრუქტურასა და შტატებს აწესებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი მუშაკთა დამტკიცებული რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

მუხლი 49. პროკურატურის ორგანოების ბეჭედი

პროკურატურის ორგანოებს აქვთ ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო გერბი და მათი სახელწოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 30 ნოემბერი.

საერთაშორისო ცხოვრება
დღევანდელი ჟურნალისტი

ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ჰანოი, 3 დეკემბერი. ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მიიღო დადგენილება ვიეტნამსა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 30-ე წლისთავის დღესასწაულობის შესახებ.

ეს წლისთავი, ხაზგასმულია დოკუმენტში, დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ხალხებთან მეგობრობის, სოლიდარობისა და ძმური თანამშრომლობის ურთიერთობაში. ღირსშესანიშნავი თარიღის დღესასწაულობა ხელს შეუწყობს საბჭოთათან მეგობრული კავშირისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას. მოეწყობა იმ უდიდესი და ეფექტიანი დახმარების ამსახველი ღონისძიებანი, რომელიც მომმე სოციალისტურმა ქვეყნებმა აღმოუჩინეს ვიეტნამელ ხალხს ფრანგი კოლონიზატორების, ამერიკელი იმპერიალისტებისა და ჩინელი ექსპანსიონისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

დამაჯერებელი ალტერნატივა

კოპენჰაგენი, 3 დეკემბერი. აქ მუშაობა დაიწყო საერთაშორისო შეხვედრა-მოსმენამ თემაზე „დაძაბულობის შენელება და განიარაღება გამალებული შეიარაღების დამაჯერებელი ალტერნატივაა“. ეს შეხვედრა მოეწყო მშვიდობისა და უშიშროებისათვის თანამშრომლობის დანიის კომიტეტის ინიციატივით. შეხვედრის მონაწილეთა შორის არიან პროგრესულ მოძრაობათა წარმომადგენლები, უშიშროებისა და განიარაღების საკითხების ექსპერტები, დანიის, შვეიცის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, საბჭოთა კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი.

კოპენჰაგენში შეხვედრის მოწყობის მიზანია, თქვა დანიის ცნობილმა პოლიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ ჰ. ლანუნგმა, — ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნოს ის, თუ ვინ და რა საშუალებებით იბრძვის რეალურად მშვიდობის განმტკიცებისათვის არა მარტო დანიაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. ამჟამად, თქვა მან, კვლავ მატულობს გამალებული შეიარაღების ტემპი. ამას ადასტურებს დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ახალი ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების სახიფათო გეგმები. ნამდვილ უშიშროებას, აღნიშნა ჰ. ლანუნგმა, უზრუნველყოფს არა შეიარაღება, არამედ განიარაღება. ამიტომ მსოფლიოს მომავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფართო და გულახდილ დიალოგს. ჩვენ თავდაუზოგავად უნდა ვიბრძოლოთ ასეთი პოზიტიური დიალოგის, კონსტრუქციული მოლაპარაკების გამართვისათვის.

საბანკო ოპერაციები შეწყდა

თეირანი, 3 დეკემბერი. როგორც ირანული გაზეთი „ბამდადი“ იტყობინება, ირანის ცენტრალურმა ბანკმა განკარგულება მისცა ქვეყნის ყველა ბანკს შეწყვიტონ ყოველგვარი ფინანსური ოპერაციები ამერიკული დოლარით. ამიერიდან ყოველგვარი გადასახდელები იწარმოებს სხვა ქვეყნების ვალუტებით, ამერიკული ბანკების ვალუტებით, ამერიკული ბანკების გვერდის აცლით, ნათქვამია ცენტრალური ბანკის ინსტრუქციაში.

გაზეთ „ჯომჰურიე ესლამის“ ცნობით, ირანმა უარი თქვა აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში სურსათის შესყიდვაზე.

სასარგებლო შეხვედრები

საქართველოს ტელევიზიის დღეები ქუთაისში

ქუთაისი. ამ ბოლო ხანს საქართველოს ტელევიზიის ცხოვრებაში უდავოდ კარგ ტრადიციად დამკვიდრდა მაყურებელთან უშუალო კონტაქტების დამყარების პრაქტიკა, მათი აზრისა და სურვილების გათვალისწინება სატელევიზიო გადაცემების სრულყოფის საკითხებზე.

თითქმის ერთი კვირა გრძელდებოდა ახლახან ქუთაისში გამართული საქართველოს ტელევიზიის დღეები. ქალაქის მშრომელებს ეწვივნენ ტელევიზიის სხვადასხვა რედაქციის წარმომადგენლები საქართველოს სსრ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. მესხიშვილის ხელმძღვანელობით.

ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში მოეწყო სატელევიზიო მისალები, რომელიც ყოველდღიურად ასობით ავტომშენებელს მასპინძლობდა. აქ იმართებოდა გულახდილი საუბარი, აზრთა გაზიარება.

სამხატვრო გალერეაში მოეწყო ტელევიზიის მხატვართა გამოფენა, რომელშიც ასზე მეტი ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. კინოთეატრებში „საქართველოსა“ და „კომუნაში“, აგრეთვე ავტომშენებელთა კულტურის სახლში გაიმართა სატელევიზიო ფილმების ფესტივალი. ქუთაისელმა მშრომელებმა საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიაში გადაღებული 20-ზე მეტი მხატვრული და დოკუმენტური ფილმი ნახეს.

და ბოლოს, ხარისხის სახლის სხდომათა დარბაზში გაიმართა ტელევიზიის მუშაკთა შეხვედრა ქალაქის მშრომელებთან. იგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ დ. წერეთელმა. შეხვედრაზე საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებმა, ინსტიტუტების მეცნიერმა მუშაკებმა, მწერლებმა, ხელოვნების მოღვაწეებმა, სტუდენტებმა. ბოლოს გამოვიდა საქართველოს სსრ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. მესხიშვილი, რომელმაც პასუხი გასცა მონაწილეთა მრავალ საინტერესო შეკითხვას, ილაპარაკა კომიტეტის შემოქმედებითი კოლეგიტების მომავალ ამოცანებზე.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



როგორ იქმნება ბიოგრაფია

მსოფლიოს ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძის „ორი ფრონტი“

თქმა არ უნდა, ჭადრაკის ქალღმერთმა კისამ მაია ჩიბურდანიძეს კეთილი თვალით შეხედა. უკვე 17 წლის მაიამ ბევრ საჭადრაკო რეკორდს გადააჭარბა. ასეთ ასაკში არავინ გამხდარა საერთაშორისო ოსტატი, საერთაშორისო დიდოსტატი, პრეტენდენტი და მსოფლიოს ჩემპიონი. დიახ, ერთი მიღწევა მეორეს მოსდევს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონის მდგომარეობა სრულადაც არ არის იოლი — მას მრავალი საშიში მეტოქე ჰყავს და მუდამ საბრძოლოდ შემართული უნდა იყოს.

როგორც მისმა დიდმა წინამორბედმა ნონა გაფრინდაშვილმა, მაიამაც „ორ ფრონტზე“ ბრძოლა ისურვა: იგი ქალებსაც ერკინება და ვაჟებსაც. ქალთა და ვაჟთა ჭადრაკი კი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჯერ კიდევ საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან და ერთი და იგივე პიროვნებისაგან ამ ტურნირებში მონაწილეობა დიდ გარდასახვას მოითხოვს.

მაია ჩიბურდანიძის სასახელოდ უნდა თქვას, რომ იგი თანაბარი აღფაფრთხილობით ატარებს როგორც ერთ, ისე მეორე ტიპის შეჯიბრებს. მისთვის არ არსებობს ეგრეთ წოდებული „(ორი ფრონტ“. თუკი მსოფლიოს ჩემპიონი შეჯიბრებაში მონაწილეობს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, იგი სრული ძალით, სრული დატვირთვით იასპარეზებს, (დიდი პასუხისმგებლობით წარმართავს თითოეულ პარტიას.

ჩვენ არ გამოვუდგებით მაიას ყველა წლევანდელი შეჯიბრების შედეგებს — (გულშემატკივრებისათვის ისინი ისედაც კარგად არის (ცნობილი), მაგალითისთვის ავიღებთ მხოლოდ ორს, სადაც კარგად გამომჟღავნდა მაია ჩიბურდანიძის „ორ ფრონტზე“ ბრძოლის უნარი.

ივლისში, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მაიას მეტოქე ქალებმა აღარ იცოდნენ, რა ეღონათ. სხვადასხვა გამოჩენილი ექსპერტების რჩევას რომ მიმართავდნენ, ჩემპიონს ხან საგულდაგულო, კომბინაციურ ბრძოლას უმართავდნენ, ხან პირიქით, ფიგურებს ცვლიდნენ და პარტიისათვის მდორე მიმართულების მიცემას ლამობდნენ, ხან დებიუტზე იღებდნენ აქცენტს, ხან მიტელშპილსა და ენდშპილზე. „საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო“ — ნათქვამია. გამოსავალი არ ჩანდა. მაია ყოველგვარ ბრძოლაში იმარჯვებდა, თუმცა მისი მეტოქეები რჩეული დიდოსტატი და ოსტატი ქალები იყვნენ, სხვათაშორის იგივე დაემართათ მაიას მეტოქეებს ამჟამად ბადიისინგენში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე, სადაც მსოფლიოს ჩემპიონმა დიდი აღმავლობით ითამაშა.

ზუსტად ერთი წლით ადრე, შარმანი, ივლისში, მაიას „მეორე ფრონტი“ ჰქონდა ვილნიუსის ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირში.

წლეულს მაიამ ბარსელონაში გამართულ ვაჟთა ტურნირში ითამაშა. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ 4 დიდოსტატი (გუფელდი, ბარკაი, როდრიგესი და პომარი) და ერთიც მეტად ძლიერი საერთაშორისო ოსტატი, იტალიელი ტატაი, რომელსაც საცაა ამ უმაღლეს წოდებას მიანიჭებენ. ისე, რაც უფრო მეტი დიდოსტატი მონაწილეობს ტურნირში, მით უფრო კარგია მაიასათვის — მით უფრო მეტი წვერი ეყოფა „მაია. ჩიბურდანიძის კლუბს“, რომელიც „ვერა მენჩიკის კლუბის“ და „ნონა გაფრინდაშვილის კლუბის“ მსგავსად შეექმნა. „მაიას კლუბში“ ბარსელონას ტურნირის შედეგების თანახმად მოხვდნენ ცნობილი კუბელი მოჭადრაკე ამადორ როდრიგესი, რომელსაც ამ პარტიის მოგების შემთხვევაში თვითონ ჰქონდა პირველი პრიზის მოპოვების შანსი, და ალექსანდრე ალიოხინის ერთ-ერთი მოწაფე, ესპანეთის № 1 მოჭადრაკე არტურო პომარი.

მსოფლიოს, ცხადია, ბრწყინვალე ჩემპიონი ჰყავს, მაგრამ მისი მდგომარეობა, როგორც დასაწყისში ვთქვით, სრულიადაც არ არის იოლი. თუ მაია „ორ ფრონტზე“ თამაშობს, მასაც ორი მხრიდან უტევენ. ერთი მხრივ, ჩვენ, ცხადია, ჯხედველობაში გვყავს უფროსი თაობის მოჭადრაკეები ნონა გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით, რომლის დიდმა ოსტატობამ და „მაგალითმა ჩინებული სტიმული მისცა მაიას, მეორე მხრივ, ახალგაზრდები, რომლებიც მაიასთან ერთად და მაიას გვერდით დაწინაურდნენ. თვალის დახამხამება ვერ მოვასწარით და ნანა იოსელიანი მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი გახდა, მისი მიღწევის შეფასება ვერ მოვასწარით და ახლა ნინო გურიელმა აღგვაფრთოვანა. სხვა მეტოქეებიდან ყურადღებას იპყრობს მეტად პერსპექტიული ელენე ახმილოვსკაია, რომელიც პრეტენდენტთა წინა ციკლშიც მონაწილეობდა და მაიას „უკანასკნელ სისხლის წვეთამდე“ ებრძოდა.

და ყოველივე ეს ტრიალებს მსოფლიო ჩემპიონის გარშემო, რომელსაც ჯერ. 19 წელიც არ შესრულებია. გასაკვირი და საამაყო კი სწორედ ეს არის.

ძნელი სათქმელია, როდის დაიწერება მაიას ვრცელი ბიოგრაფია, მაგრამ მთ